საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

20/03/2026

MES 6 26 0000341474

გადაწყვეტილება

„შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ქართული ტრადიციული მუსიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 09 მარტის №287021 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

სსიპ - საქართველოს უნივერსიტეტის მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოსული 2026 წლის 04 მარტს №2240 (ცენტრში რეგისტრაციის №258343 04/03/2026) წერილის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე (ოქმი №339041, 20/03/2026) დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. „შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ქართული ტრადიციული მუსიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 09 მარტის №287021 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების დანართი №1 - ში შევიდეს ცვლილება და აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი განისაზღვროს შემდეგი სახით:„გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2026 წლის 20 თებერვლიდან“.
2. ცნობილ იქნას საბჭოს 2026 წლის 20 მარტის №339041 სხდომის ოქმის №02 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2026 წლის 06 მარტიდან.
4. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის

შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე

ელექტრონული
შეზამეღსმეღის
ელექტრონულად

დანართი №1

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართული ტრადიციული მუსიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	6
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი საშემსრულებლო ხელოვნებაში (ტრადიციული მუსიკა)
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
14	განხორციელების ადგილი	კოსტავას 77ა, 0171, თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2026 წლის 20 თებერვალი
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	-
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2027 წლის 20 აგვისტო